



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

**ZEITENWENDE გერმანიის საგარეო პოლიტიკაში და
აღმოსავლეთ პარტნიორობა**

მარია მატრაშვილი

203

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

მარიამ მაჭარაშვილი

**ZEITENWENDE გერმანიის საგარეო პოლიტიკაში და
აღმოსავლეთ კარტნიორობა**

203

2023



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2023 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

შესავალი

ჩვენი ნაშრომი მიზნად ისახავს გაანალიზოს გერმანიის მიდგომა აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმართ 2022 წლის თებერვალში ოლაფ შოლცის მიერ გამოცხადებული „გარდამტეხი მომენტის“ (*Zeitenwende*) ფონზე, გერმანიის საგარეო პოლიტიკაში. არსებული პოლიტიკის ცვლილება გამოიწვია რუსეთის ომმა უკრაინის წინააღმდეგ, რომელმაც დაარღვია ევროპული კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა და ეჭვქვეშ დააყენა გერმანიის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიდგომები. ომის დაწყებამ ევროპის ტერიტორიაზე გერმანიის ხელისუფლებას აჩვენა, რომ არასამხედრო საშუალებების გამოყენება საგარეო პოლიტიკის წარმოებისას და მათი ღიაობისა და ნორმალიზაციის პოლიტიკა აღმოსავლეთის მიმართ (*Ostpolitik*), რომელშიც დიდწილად რუსეთი იგულისხმება, მცდარი აღმოჩნდა. რუსეთის ომი უკრაინაში გახდა კიდევ ერთი პოლიტიკური კონცეფციის – ცვლილება ვაჭრობის გზით (*Wandel durch Handel*) – გადაფასების საფუძველი, რომლის მიხედვით რუსეთთან სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ხელს შეუწყობს მის ინტეგრაციას ევროპაში და უბიძგებს მშვიდობიანი ურთიერთთანამშრომლობისკენ. გერმანიისთვის რუსულ ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულებამ კი რუსეთს, ერთი მხრივ, მისცა პოლიტიკური გავლენის ბერკეტი და, მეორე მხრივ, გერმანიის ეკონომიკა მონყვალადი გახადა.

რუსულმა აგრესიამ უკრაინაში განაახლა ევროკავშირის გაფართოების პროცესიც, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ბალკანეთის რეგიონის სახელმწიფოებისთვის გახდა შესაძლებლობა, მოიპოვონ კანდიდატის სტატუსი და დააჩქარონ ევროკავშირში განწევრიანება. ამ პროცესს დადებითად გამოეხმაურა გერმანიის ხელისუფლებაც, რომელიც უკრაინის ომამდე გეოპოლიტიკური და ენერგეტიკული მიზეზების გამო სკეპტიკურად იყო განწყობილი ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების მიმართ. გერმანიისთვის ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და, კერძოდ, აღმოსავლეთ პარტნიორობა იყო ინსტრუმენტი, რომ მისი წევრი სახელმწიფოები ევროკავშირთან ეკონომიკურად დაეახლოებინა, რაც არ გულისხმობდა პოლიტიკურ ინტეგრაციას და დაპირებებს განწევრიანების შესახებ. გერმანიის კანცლერის მიერ გამოცხადებული „გარდამტეხი მომენტის“ შემდეგ, რომელიც მეტწილად ითვალისწინებს ურთიერთობების გადაფასებას რუსეთთან, ჩნდება შეკითხვა – როგორ შეცვალა *Zeitenwende*-მ გერმანიის დამოკიდებულება აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმართ? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, განვიხილავთ, თუ რას გულისხმობს *Zeitenwende*, ხოლო შემდეგ გერმანიის მიდგომებს უკრაინის ომამდე და მის შემდგომ.

Zeitenwende და გერმანიის საგარეო პოლიტიკა

გერმანიის საგარეო პოლიტიკა ათწლეულების მანძილზე ეყრდნობოდა ისეთ პრინციპებს, როგორებიცაა: მულტილათერალიზმი, ევროპული ინტეგრაცია, საგარეო პოლიტიკაში სამხედრო საშუალებების გამოყენების უარყოფა, დაბალი სამხედრო ბიუჯეტის შენარჩუნება და რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობა.

ანგელა მერკელის შემდეგ ჩამოყალიბებული ე.წ. „შუქნიშნის“ კოალიცია, სოციალ-დემოკრატები (SPD), მწვანეები და თავისუფალი დემოკრატები (FDP), არ გეგმავდა არანაირ ცვლილებას საგარეო ასპარეზზე (Marschall 2021). მეტიც, მათ მხარი დაუჭირეს მილსადენის, „ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის“, მშენებლობას, მიუხედავად საერთაშორისო სანქციებისა (Blumenau 2022, 1897). გერმანიის ძირითადი არგუმენტი მილსადენის მშენებლობა მხოლოდ ეკონომიკურ და არა გეოპოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა (Westphal 2021, 2). 2021 წლის ბოლოს რუსეთის სამხედრო საშუალებების მობილიზებამ უკრაინის საზღვართან და შემდეგ მის მიერ ლუგანსკისა და დონეცკის ოკუპირებული რეგიონების აღიარებამ გერმანიას ნათლად აჩვენა, რომ რუსეთის მიზანი სცდებოდა ეკონომიკურ და ენერგეტიკულ ინტერესებს. სწორედ აქედან დაიწყო გერმანიის საგარეო-პოლიტიკური მიდგომების ცვლილება, რომელიც ჯერ მილსადენის სასერტიფიკატო პროცესის შეწყვეტით გამოიხატა. კანცლერმა შოლცმა რუსეთის ქმედებები „საერთაშორისო სამართლის სერიოზულ დარღვევად“ მიიჩნია და აშშ-სთან შეთანხმდა, რომ იმოქმედებდა „ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის“ წინააღმდეგ, თუ რუსეთი გამოიყენებდა გაზს იარაღად ან თავს დაესხმებოდა უკრაინას (Mchugh 2022).

რუსეთის მიერ ომის დაწყებამ უკრაინაში გამოავლინა აუცილებელი საჭიროება, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ახალ გეოპოლიტიკურ რეალობას მორგებოდა. გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა 2022 წლის 27 თებერვალს პარლამენტისადმი ცნობილ მიმართვაში, რომელიც *Zeitenwende*-ს სახელწოდებით გახდა ცნობილი, გამოაცხადა ახალი ეპოქის დასაწყისი ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში:

ჩვენ ვცხოვრობთ გარდამტეხ ეპოქაში და ეს ნიშნავს, რომ შემდგომი სამყარო აღარ იქნება ისეთი, როგორც უნდა... მთავარი საკითხი არის ის, მივცემთ თუ არა ძალას კანონზე გაბატონების უფლებას. მივცემთ თუ არა პუტინს უფლებას, დააბრუნოს საათი მეცხრამეტე საუკუნეში და დიდი სახელმწიფოების ეპოქაში. ან შეგვიძლია თუ არა ჩვენ პუტინის მსგავსი ომის გამჩალებლების კონტროლი (Scholz 2022).

Zeitenwende რამდენიმე მიზეზმა განაპირობა. გერმანიისთვის ომი უკრაინაში ნიშნავს არა მხოლოდ ევროპული მშვიდობის არქიტექტურის დარღვევას, არამედ რუსეთის იმპერიალიზმის დაბრუნებას ნატოსა და ევროკავშირის საზღვრებთან. რუსეთის სამხედრო აგრესია კი არის მცდელობა ძალის გამოყენებით შეცვალოს საზღვრები და მსოფლიო კიდევ ერთხელ დაეყოს ბლოკებად და გავლენის სფეროებად, რაც გერმანიისთვის ცნობილი ისტორიული გამოცდილებაა (Scholz 2022). გარდა ამისა, საგარეო პოლიტიკის ცვლილებაში არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ენერგორესურსებზე ფასების მატებამ (Dienes and Katsioulis 2022, 3). ამასთან, გერმანია ამ ნაბიჯით პასუხობს მზარდ საერთაშორისო ზენოლას პარტნიორებისგან, რომ წამყვანი როლი შეასრულოს ევროპაში მშვიდობის დასაცავად (Mehrer 2022). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გერმანია ევროკავშირში ყველაზე მეტ ლტოლვილს იღებს, რომელთა რაოდენობა 2022 წელს, წინა წელთა შედარებით, 28%-ით გაიზარდა (Sanderson 2023). შესაბამისად, მისთვის კონფლიქტური ზონა ნიშნავს ლტოლვილების ახალ ნაკადს ქვეყნის საზღვართან და ამიტომ ომში მყოფი ქვეყნისთვის დახმარების განევა ხელშეწყობა მიგრანტთა ტალღის შემცირებისთვის.

კანცლერის გამოსვლაში გამოიკვეთა ხუთი ძირითადი გზა, თუ როგორ გეგმავს გერმანია, შეცვალოს საგარეო პოლიტიკა:

- უკრაინის ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერა;
- სანქციების დანერგვა რუსული კომპანიებისა და რუსი ოლიგარქებისთვის;
- გერმანიის მტკიცე მხარდაჭერა ნატოს კოლექტიური უსაფრთხოებისადმი;
- 100 მილიონი ევრო სპეციალური ფონდისთვის, რომელიც მოხმარდება სამხედრო შესაძლებლობების გაზრდას. ასევე, გერმანია ეტაპობრივად შეასრულებს ნატოს ვალდებულებას, დახარჯოს მშპ-ის 2% თავდაცვაში.
- განახლებადი ენერჯის სფეროს სწრაფი ინვესტირება.

ამ მიდგომების მოკლევადიანი მიზანი რუსულ წიაღისეულ სანჯავზე დამოკიდებულების შემცირება და პუტინისთვის ომის დაფინანსებაში ხელის შეშლაა (Mehrer 2022). გრძელვადიანი პერსპექტივით კი, გერმანიის მიზანი ევროკავშირის, როგორც ერთიანი აქტორის, თავდაცვისუნარიანობისა და ინტეგრაციის გაძლიერებაა, რომელშიც ნამყვან როლს შეასრულებს.

საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში *Zeitenwende*-მ ყველაზე მეტად გავლენა იქონია გერმანიის ორმიდგომაზე – რუსეთთან ურთიერთობები და ცვლილება ვაჭრობის გზით. გერმანიის ხელისუფლების რწმენით, რუსეთის იმპერიალისტური ამბიციების შეკავება შეიძლებოდა დიპლომატიით, სავაჭრო კავშირებით, რუსეთის ინტეგრაციით ევროპულ ინსტიტუტებში, რაც მის მოდერნიზაციასაც შეუწყობდა ხელს (Szabo 2017, 44). მიუხედავად ამისა, რუსეთისთვის ვაჭრობა მხოლოდ ინსტრუმენტი იყო უფრო ამბიციური გეოპოლიტიკური მიზნების შესასრულებლად და გერმანიის რწმენის მიუხედავად, რუსეთში თანდათან ღრმავდებოდა ავტორიტარული რეჟიმი. გარდა ამისა, რუსეთისთვის მსოფლიო პოლიტიკა ნულჯამოვანი თამაშია და არა – ორმხრივად მომგებიანი (Blumenau 2022, 1907). უკრაინის ომმა საბოლოოდ გამოამჟღავნა აღნიშნული მიდგომების მარცხი, რომელიც აღიარა პრეზიდენტმა შტაინმაიერმა: „ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ ბევრ რამეში დავმარცხდით... ჩვენ ვერ შევძელით საერთო ევროპული სახლის აშენება... ჩვენ კვლავ გვჯეროდა იმ ხიდებისა, რომელთა რუსეთს აღარ სჯეროდა“ (Corblin 2022). აღსანიშნავია, რომ ჯერ რთულია საუბარი იმაზე, თუ როგორი პოლიტიკა ექნება გერმანიას რუსეთის მიმართ, თუმცა როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა ანალენა ბერბოკმა აღნიშნა, რუსეთთან ომამდე არსებული ურთიერთობების გაგრძელება უკვე წარმოუდგენელია (Corblin 2022).

გერმანიის მიდგომა აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმართ: უკრაინის ომამდე და მის შემდეგ

გერმანიის პოლიტიკას აღმოსავლეთ ევროპაში ყოველთვის განაპირობებდა, ერთი მხრივ, მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ისტორიული მეგვიდრეობა და ეკონომიკური ურთიერთობები, ხოლო, მეორე მხრივ – რუსეთის ფაქტორი. გერმანია ტრადიციულად ინარჩუნებდა ახლო კავშირს რუსეთთან და აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირი-რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესებაში (Fix and

Kirch 2016, 5). იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პარტნიორი იყო, გერმანია ცდილობდა არ გაეღიზიანებინა იგი, რითაც იყო განპირობებული მისი სკეპტიკური დამოკიდებულება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროკავშირში განუვრიალების მიმართ. 2014 წლის მონაცემების მიხედვით, ენერგორესურსებით მდიდარი აზერბაიჯანიც კი გერმანიაში იმპორტის მოცულობით 45-ე ადგილს იკავებდა (რუსეთი – მე-10, საქართველო – 105-ე), რაც რეალურად განაპირობებდა ქვეყნის პოლიტიკას – „რუსეთი უპირველესად“ (Fix and Kirch 2016, 8). სწორედ ამიტომ გერმანიისთვის ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და აღმოსავლეთ პარტნიორობა ემსახურებოდა სტაბილური და უსაფრთხო სივრცის შექმნას, რომლის მიღწევა შეიძლებოდა რუსეთთან ერთად და არა – მის გარეშე. გარდა ამისა, გერმანულ საზოგადოებაში გაჩნდა „გაფართოების პროცესით დაღლილობის“ ფენომენი, რაც გერმანიის პასიურობას უფრო აძლიერებდა (Gotkowska 2010, 2). ასეთი გეოპოლიტიკური სიფრთხილე გახდა მიზეზი იმასა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ჩამოყალიბებაში წამყვანი როლი პოლონეთმა და შვედეთმა შეასრულეს. გერმანია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს სთავაზობდა ეკონომიკურ და სავაჭრო თანამშრომლობას, ორმხრივ ურთიერთობებს და არა – ევროკავშირში პოლიტიკურ ინტეგრაციას ან წევრობის გარანტიებს.

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ, რომელიც გერმანიის საგარეო პოლიტიკისთვის გამოწვევად იქცა, გარკვეულწილად შეცვალა იგი. პირველ რიგში, ევროპაში მშვიდობის უხეში დარღვევა ეწინააღმდეგებოდა გერმანულ ხედვას, რომ მსოფლიო წესრიგი წესებზე, ნორმებზე და არა ძალაზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. ამასთანავე, ამ პერიოდში ერთგვარმა ვაკუუმმა, როდესაც აშშ თავს იკავებდა ევროპაში აქტიური ჩართვისაგან და საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი ფოკუსირებული იყვნენ შიდა პრობლემების მოგვარებაზე, გერმანიას უბიძგა, ლიდერი სახელმწიფოს როლი შეესრულებინა ევროკავშირის საპასუხო პოლიტიკის ფორმირებაში (Koeth 2016, 111). ქვეყნის შიგნითაც გაჩნდა პოლიტიკის ცვლილების მოთხოვნა: მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთს უკვე საფრთხედ მიიჩნევდა და მშვიდობას ეკონომიკურ ინტერესებზე მაღლა აყენებდა (Siddi 2016, 669). შესაბამისად, გერმანიამ რუსეთთან კონსტრუქციული კავშირები სიტუაციური თანამშრომლობით ჩაანაცვლა: ჩაერთო „მინსკი 2-ის“ მოლაპარაკების პროცესში და შეუერთდა რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს (Kusa 2023). მიუხედავად ამისა, ყირიმის ანექსია არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროკავშირთან პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესს დათანხმებოდა. გერმანიას ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ რუსეთის შეკავება დიალოგითა და მოლაპარაკებებით შეიძლებოდა.

რუსეთის მიერ ომის დაწყება უკრაინაში გერმანიისთვის უკვე საბოლოო დასტური იყო იმისა, რომ იგი მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა ევროპის უსაფრთხოებისთვის და უკრაინასთან ერთად გამოავლინა, რომ დაუცველი იყო საქართველო, სომხეთი და მოლდოვაც, სადაც რუსეთის ჩარევა საშინაო პოლიტიკაში დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისთვის შექმნილი მთავარი საშიშროებაა. ასეთი ჩარევა რისკის წინაშე აყენებს რეგიონის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას, რომლის შედეგებიც აისახება ევროკავშირზე. მიუხედავად

იმისა, რომ გერმანიის ხელისუფლებას ჰქონდა შიში ნატო-რუსეთის ურთიერთობის უკიდურესი დაძაბულობის და ბირთვული ესკალაციის, პოლიტიკურ წრეებსა და საზოგადოებაში გამოიკვეთა სურვილი უფრო „პასუხისმგებლობიანი გერმანიის“ შესახებ (Cuperus and Molthof 2022, 3). ამის შედეგად შოლცმა აღნიშნა:

თუ ჩვენ ახლა არ დავუპირისპირდებით პუტინის აგრესიას, მას შეუძლია უფრო შორს წავიდეს. ჩვენ ეს უკვე ვნახეთ: ის 2008 წელს შეიჭრა საქართველოში, 2014 წელს მოახდინა ყირიმის ანექსია, შემდეგ შეუტია აღმოსავლეთ უკრაინას და ბოლოს... გააფართოვა ომი მთელი ქვეყნის წინააღმდეგ. (Scholz, 2022)

ევროკავშირის საზღვრებთან დესტაბილიზაცია საფრთხეს უქმნის მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას და იმისათვის, რომ შემდგომი აგრესია და ევროპის დაყოფა გავლენის სფეროებად თავიდან იქნეს აცილებული, გერმანიამ შეცვალა აღმოსავლეთ პარტნიორობის რუსეთის პრიზმიდან ხედვა. ამასთანავე, გერმანიაში საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიხედვით, ევროკავშირის გაფართოების მომხრეთა რაოდენობამ (52%, 20%-ით გაზრდილია წინა წელთან შედარებით) პირველად გადააჭარბა მოწინააღმდეგეთა რიცხვს, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია (Statista 2023). ეს, პირველ რიგში, გამოიხატა გერმანიის პოზიციით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის (უკრაინა და მოლდოვა) ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსისა და ევროპული პერსპექტივის (საქართველო) მინიჭებით, ხოლო სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის – მეტად პრაგმატული ურთიერთობების შეთავაზებით. 2023 წლის მარტში კანცლერმა შოლცმა, ოფიციალური ვიზიტის დროს სომხეთში, გაამჟღავნა ინიციატივა სომხეთთან უფრო ამბიციური ურთიერთობების დაწყების შესახებ და მასთან ერთად სამომავლო გეგმა გერმანული განვითარების სააგენტოების ლოკალური ოფისების გახსნის თაობაზე (Armenpress 2023). აზერბაიჯანის როლი კი ევროკავშირისთვის მნიშვნელოვნად გაიზარდა ბუნებრივი აირის მიწოდების პოტენციალის გამო. აზერბაიჯანი გერმანიისთვის ნედლი ნავთობის ყველაზე მნიშვნელოვან მიმწოდებელთა ათეულში შედის (Azernews 2022). ეს კი ნიშნავს, რომ რეალურმა საგარეო საფრთხემ განაპირობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავებისა და ევროკავშირთან მათი დაახლოების პოლიტიკური ნება.

კანცლერ შოლცის განცხადებებში გამოიკვეთა გერმანიის მხრიდან ევროკავშირის ერთიან გეოპოლიტიკურ აქტორად ჩამოყალიბების საჭიროება და შიდა რეფორმების დაწყების სურვილი, რომლის სათავეშიც იგი საკუთარ თავს მოიაზრებს. ასეთი ნაბიჯით გერმანიის ხელისუფლებას სჯერა, რომ „რეალპოლიტიკა უნდა გულისხმობდეს მეგობრების და პარტნიორების ჩართვას, მათ მხარდაჭერას, რათა თანამშრომლობით გლობალურ კონკურენციაში უფრო ძლიერი იყვნენ“ (Scholz 2022). სწორედ ამიტომ გერმანიამ მხარი დაუჭირა საფრანგეთის ინიციატივას ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის ჩამოყალიბების თაობაზე, სადაც ევროკავშირის ქვეყნები და მათი პარტნიორები წელიწადში რამდენჯერმე პოლიტიკურ დონეზე განიხილავენ უსაფრთხოების ძირითად საკითხებს. ეს კი ნიშნავს, რომ გერმანია აღმოსავლეთ პარტნიორობას არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ უკვე პოლიტიკურ განზომილებასაც ანიჭებს და განიხილავს მას „უფრო ფართო ევროპის კონცეფციის“ ნაწილად.

საგულისხმოა, რომ არა მხოლოდ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებით, არამედ დამატებითი ფაქტორებითაც გამოიკვეთა გერმანიის სურვილი აღმოსავლეთ სამეზობლოში საკუთარი თავი წარმოაჩინოს, როგორც სანდო პარტნიორმა: 1) გერმანიამ დაარღვია ათწლეულების მანძილზე „სამოქალაქო ძალის“ მქონე ქვეყნად პოზიციონირების პრაქტიკა და მასთან ერთად მიდგომა, რომელიც გულისხმობდა კრიზისულ რეგიონებში გერმანული წარმოების იარაღის გაგზავნაზე უარის თქმას. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ 2022 წლის თებერვლიდან, ოფიციალური მონაცემებით, უკრაინაში გერმანიის მიერ მიწოდებული სამხედრო საშუალებების ჯამური რაოდენობა 2 მილიარდ ევროზე მეტია (The Federal Government n.d.). 2) გერმანიამ მიიღო გადაწყვეტილება, გაზარდოს ჯარისკაცთა რაოდენობა ნატოს აღმოსავლეთ ფლანგზე და გააძლიეროს თავდაცვისუნარიანობა. 3) გერმანიის მიერ ბუნებრივი აირის მიწოდების დივერსიფიკაცია და 2022 წლის ბოლოს რუსული ბუნებრივი აირის იმპორტის 52%-დან 22%-მდე შემცირება (Giegerich and Schreer 2023). 4) ანალენა ბერბოკის ვიზიტებმა საქართველოსა და მოლდოვაში გამოავლინა გერმანიის განსაკუთრებული ინტერესი რეგიონის მიმართ. საგარეო საქმეთა მინისტრის მთავარი გზავნილი ორივე ქვეყანაში გერმანიის მტკიცე მხარდაჭერა განვითარებისა და ევროკავშირში ინტეგრაციის კუთხით. მან პირდაპირ აღნიშნა, რომ ამ ქვეყნების ადგილი ევროპაშია. მოლდოვაში ბერბოკმა სახი გაუსვა გერმანიის პოლიტიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას, რაც გამოიხატება განვითარებისთვის სპეციალური გრანტის გამოყოფით, ენერგეტიკულ სფეროსა და უკრაინელი ლტოლვილების ნაკადის მართვაში დახმარებით (Corblin 2022). საქართველოში მინისტრის ვიზიტი მოულოდნელი იყო, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს გერმანიის დაინტერესებას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით. ბერბოკმა განსაკუთრებულად აღნიშნა ევროკავშირის 12 რეკომენდაციის შესრულება და ამ მიმართულებით ერთობლივი და დროული მუშაობის აუცილებლობა.

გერმანიის საგარეო პოლიტიკაში *Zeitenwende*-ს გამოცხადების შემდეგ ერთ წელზე მეტი გავიდა. მიუხედავად უკვე გადადგმული ნაბიჯებისა, გამოიკვეთა გამოწვევებიც, რომლებიც შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: 1) **სტრატეგიული კომუნიკაცია** – გერმანიის კოალიციურ მთავრობაში სამი პარტიაა, რომელთა ხედვა ერთმანეთისგან განსხვავდება. მაშინ, როდესაც სოციალ-დემოკრატები ყველაზე ნაკლებ ენთუზიაზმს იჩენენ უკრაინისთვის იარაღის მიწოდების მხრივ, მწვანეები და თავისუფალი დემოკრატები მოითხოვენ გერმანიის მეტ აქტიურობას (Corblin 2022). ეს კი ხშირად ართულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს. 2) **იმპლემენტაცია** – გერმანიაში ჯერ ისევ გასარკვევია, როგორ შეძლებს მთავრობა თავდაცვის სპეციალური ფონდისთვის თანხების მობილიზებას, მათ მიზნობრივ ხარჯვას, ასევე, შეძლებს თუ არა თავდაცვის ახალი მინისტრი ბორის პისტორიუსი შეიარაღებული ძალების რეფორმას (Giegerich and Schreer 2023). 3) **„უხალისო“ ლიდერობა** – ბერლინმა მხოლოდ არაერთი საერთაშორისო მოწოდების ფონზე დაიწყო იარაღის მიწოდება და მხოლოდ მას შემდეგ, რაც სხვა მოკავშირეებმა გადადგეს პირველი ნაბიჯი. გერმანიას გარკვეული დრო დასჭირდა ნატოს წევრებთან შეეთანხმებინა გერმანული წარმოების „ლეოპარდ 2-ის“ ტიპის

ტანკების უკრაინაში გაგზავნის საკითხი. 4) **გრძელვადიანი სტრატეგია** – გერმანიას ჯერ არ აქვს სტრატეგია, თუ როგორი ურთიერთობა ექნება ომის დასრულების შემდეგ რუსეთთან და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან.

დასკვნა

გერმანიისთვის რუსეთის ომი უკრაინაში გახდა მნიშვნელოვანი ფაქტორი, გამოეცხადებინა გარდამტეხი მომენტი საგარეო პოლიტიკაში და გადაეფასებინა რუსეთთან ათწლეულების მანძილზე არსებული ურთიერთობები, რასაც მოჰყვა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობისადმი მიდგომის ცვლილებაც. თუ ომამდე გერმანიას სჯეროდა, რომ რუსეთის შეკავება ვაჭრობით და ევროპულ ინსტიტუტებში ინტეგრაციით შეიძლებოდა, ომმა აშკარად გამოავლინა პუტინის გეოპოლიტიკური ამბიციები, რაც არა მხოლოდ უკრაინას, არამედ აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებსაც უქმნის საფრთხეს და რისკის წინაშე აყენებს ევროკავშირის უსაფრთხოებას.

ევროპის გავლენის სფეროებად დაყოფის თავიდან ასაცილებლად და საერთაშორისო ზენოლის ფონზე გერმანიამ, როგორც ევროკავშირის ერთ-ერთმა წამყვანმა სახელმწიფომ, დაინახა საჭიროება საგარეო პოლიტიკა გეოპოლიტიკურ საჭიროებებს მორგებოდა და მეტად გააქტიურებულიყო ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის მხრივ. კერძოდ, *Zeitenwende* აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმართ გულისხმობს გერმანიის სანდო პარტნიორად წარმოჩენას და მისთვის ეკონომიკურთან ერთად პოლიტიკური განზომილების მინიჭებას, რასაც ადასტურებს გერმანიის თანხმობა ქვეყნებისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე, პრაგმატული ურთიერთობების შეთავაზება და პოლიტიკური თანამეგობრობის დიალოგში ჩართვა. ამასთანავე, უკრაინისათვის სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერა.

მიუხედავად ამისა, *Zeitenwende*-ს აქვს გარკვეული გამოწვევები, რომლებიც გამოიხატება სტრატეგიული კომუნიკაციის ნაკლებობითა და განხორციელების გაჭიანურებით. ამას ემატება ისიც, რომ გერმანია მხოლოდ სხვა ქვეყნებთან შეთანხმების შემდეგ დგამს მნიშვნელოვან ნაბიჯებს იარაღის მიწოდების მიმართულებით, რაც ხშირად ეჭვქვეშ აყენებს საგარეო პოლიტიკაში „გარდამტეხი მომენტის“ რეალურ განხორციელებას. გარდა ამისა, ჯერჯერობით გერმანიას არ აქვს სტრატეგია გრძელვადიან პერსპექტივაში, რომელშიც იგულისხმება უკრაინაში ომის დასრულების შემდგომი პერიოდი, როგორი ურთიერთობები ექნება რუსეთთან და შესაბამისად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან. სავარაუდოა, რომ უახლოეს პერიოდში გერმანიის ხელისუფლება მაქსიმალურად ეცდება რუსეთზე ენერგეტიკული დამოკიდებულების შემცირებას და ომში მხარეთა უპირატესობის შესაბამისად განსაზღვრავს საკუთარ როლს აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმართ.

ბიბლიოგრაფია

- Armenpress. 2023. "Armenia and Germany Are Ready to Cooperate to Form a More Ambitious Agenda of Bilateral Relations." Last modified March 2, 2023. <https://armenpress.am/eng/news/1105460.html>.
- Azernews. 2023. "Azerbaijan, Germany Mark 30th Anniversary of Bilateral Relations." Lasr modified June 20, 2022. <https://www.azernews.az/nation/195533.html>.
- Blumenau, Bernhard. 2022. "Breaking with Convention? Zeitenwende and the Traditional Pillars of German Foreign Policy." *International Affairs* 98, no. 6: 1895–1913. <https://doi.org/10.1093/ia/iiac166>.
- Corblin, Alexine. 2022. "A Change of Era (Zeitenwende) in Germany and Its Implications for European Integration." *The Robert Schuman Foundation*, October 10, 2022. <https://www.robert-schuman.eu/en/european-issues/0641-a-change-of-era-zeitenwende-in-germany-and-its-implications-for-european-integration>.
- Cuperus, Rene., Molthof, Luuk. 2022. "Zeitwende with the Breaks on." *Clingendael Alert*, October 20, 2022. <https://www.clingendael.org/publication/germany-and-ukraine-war>.
- Dienes, Alexandra., and Katsioulis, Christos. 2022. "Russia's War as a Turning Point in German Public Opinion." *Friedrich Ebert Schiftung*, July 19, 2022. <https://library.fes.de/pdf-files/bueros/wien/19395.pdf>.
- Fix, Liana., Kirch, Anna-Lena. 2016. "Germany and the Eastern Partnership After the Ukraine Crisis." *Study Committee for Franco-German Relations*, no. 128: 1-24. https://www.ifri.org/sites/default/files/atoms/files/ndc_128_kirch_fix_en.pdf.
- Giegerich, Bastian., Schreer, Ben. 2023. "Zeitenwende One Year on." *International Institute of Strategic Studies*, February 27, 2023. <https://www.iiss.org/online-analysis/online-analysis//2023/02/zeitenwende-one-year-on>.
- Gotkowska, Justyna. 2010. "Germany and the Eastern Partnership." *OSW Commentary*, no. 37: 1-6. <http://www.osw.waw.pl/en/publikacje/osw-commentary/2010-06-18/germany-and-eastern-partnership>.
- Koeth, Wolfgang. 2016. "Leadership Revised: How Did the Ukraine Crisis and the Annexation of Crimea Affirm Germany's Leading Role in EU Foreign Policy?" *Lithuanian Annual Strategic Review* 14, no. 1: 101-116. <https://doi.org/10.1515/lasr-2016-0004>.
- Kusa, Iliya. (2023). "Can Ukraine and Germany Overcome Their Disagreements Over Russia?" *Carnegie Endowment for International Peace*, January 10, 2023. <https://carnegieendowment.org/politika/88764>.
- Marschall, Christoph. 2021. "Continuity after 16 Years Merkel?: Foreign Policy Becomes an Endurance Test for Scholz." *Tagesspiegel*, July 12, 2021. <https://www.tagesspiegel.de/politik/die-aussenpolitik-wird-zum-hartetest-fur-scholz-8016811.html>.
- Mchugh, David. 2022. "Germany's Chancellor Suspends Nord Stream 2 amid Ukraine Tensions, but What Is It?" *PBS NewsHour*, February 22, 2022. <https://www.pbs.org/newshour/world/germanys-chancellor-suspends-nord-stream-2-amid-ukraine-tensions-but-what-is-it>.
- Mehrer, Angela. 2022. "Turn of Phrase: Germany's Zeitenwende." *European Council on Foreign Relations*, August 15, 2022. <https://ecfr.eu/article/turn-of-phrase-germanys-zeitenwende/>.
- Sanderson, Sertan. 2023. "Asylum Applications in Germany on the Rise in 2022." *Info Migrants*, January 13, 2023. <https://www.infomigrants.net/en/post/46094/asylum-applications-in-germany-on-the-rise-in-2022#:~:text=In%202022%2C%20a%20total%20244%2C132,an%20increase%20of%20almost%2028%25>.

- Scholz, Olaf. 2022. "The Global Zeitenwende: How to Avoid a New Cold War in a Multipolar Era." *Foreign Affairs*, December 5, 2022. <https://www.foreignaffairs.com/germany/olaf-scholz-global-zeitenwende-how-avoid-new-cold-war>.
- Scholz, Olaf. 2022. "After the Watershed." *The Federal Government of Germany*, July 19, 2022. <https://www.bundesregierung.de/breg-en/news/after-the-watershed-2063256>.
- Scholz, Olaf. 2022. "Speech by Federal Chancellor Scholz at Charles University on August 29, 2022 in Prague." *The Federal Government*, August 29, 2022. <https://www.bundesregierung.de/breg-de/aktuelles/rede-von-bundeskanzler-scholz-an-der-karls-universitaet-am-29-august-2022-in-prag-2079534>.
- Scholz, Olaf. "Policy statement by Olaf Scholz." The Federal Government, February 27, 2022. <https://www.bundesregierung.de/breg-en/news/policy-statement-by-olaf-scholz-chancellor-of-the-federal-republic-of-germany-and-member-of-the-german-bundestag-27-february-2022-in-berlin-2008378>.
- Siddi, Marco. 2016. "German Foreign Policy towards Russia in the Aftermath of the Ukraine Crisis: A New Ostpolitik?" *Europe-Asia Studies* 68, no. 4: 665-677. DOI:10.1080/09668136.2016.117387.
- Statista. 2023. "Survey in Germany on the proposal for an additional EU enlargement in 2023." Last Modified March 1, 2023. <https://de.statista.com/statistik/daten/studie/153842/umfrage/haltung-in-deutschland-zu-einer-zusaetzlichen-eu-erweiterung/>.
- Szabo, Stephen. 2017. "Germany: From Civilian Power to a Geo-Economic Shaping Power." *German Politics & Society* 35, no. 3: 38-54. <https://www.jstor.org/stable/48561492>.
- The Federal Government. n. d. "Military Support for Ukraine." Accessed April 1, 2023. <https://www.bundesregierung.de/breg-en/news/military-support-ukraine-2054992>.
- Westphal, Kristen. 2021. "Nord Stream 2 – Germany's Dilemma". *German Institute for International and Security Affairs Comment*, 32/2021: 1-8. <https://doi.org/10.18449/2021C32>.